სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა–ტექნიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

ნახევარგამტარული და რადიაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია
მეცნიერ– თანამშრომელი – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;
თანამდებობრივი სარგო-1206 ლარი.

ფუნქციები:

- **მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპის მისაღებად მოსამზადებელ სამუშაოებში, ინსტალაციაში მონაწილეობის მიღება, მიკროსკოპის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მისი ტექნიკური მდგომარეობის მუდმივი ინსპექტირება და მისი მომსახურება მწარმოებლის მიერ დადგენილი მეთოდებითა და ინსტრუქციებით.**
- **მასალების (ლითონების, ნახევარგამტარების, დიელექტრიკების, თხელი ფირების, ელექტრონული და მიკროელექტრონული ტექნიკის კომპონენტების, ნანომასალების, პოლიმერების) მორფოლოგიის, შედგენილობის, სტრუქტურის კვლევები ყველა იმ მეთოდისა და დეტექტორის გამოყენებით, რომლებითაც აღჭურვილი იქნება მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპი. მიღებული შედეგების ანალიზის წარმოდგენა მაღალი გარჩევისუნარიანობის (ნანომეტრების დონეზე) გამოსახულებების, აგრეთვე გრაფიკების, მასალაში ელემენტთა განაწილების რუკების, ჰისტოგრამებისა თუ ტექსტური ანგარიშების სახით.**

მეცნიერ–თანამშრომლის კონკურსის პირობები:

<u>კონკურსანტს</u> <u>უნდა</u> <u>ჰქონდეს:</u>
1. 1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე (xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:
1. განცხადება (იხ. განცხადების ფორმა);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
8. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
9. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს ელექტრონულად ელ-ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge და მატერიალური სახით 2026 წლის **15 ივნისის 10 საათიდან 16 ივნისის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).**

– კონკურსი გაიმართება 17 ივნისს.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი
ხათუნა ლომიძე
ტელეფონი 599959913